ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორების თავმჯდომარის, საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის

დავით უთმელიძის 2018 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის„ 88-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია ,,ქართული-ოცნება კონსერვატორების“ თავმჯდომარე, ურბანული დაგეგმარებისა

და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, ასევე ქონების მართვისა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის წევრი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა :

მოგახსენებთ, რომ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ბიუროს 28 და საკრებულოს 29 სხდომა, აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 127 დადგენილება და 397 განკარგულება.

მივიღე აქტიური მონაწილეობა ბიუროსა და საკრებულოს სხდომების ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვაში.

ფრაქციული მუშაობა:

ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები და ჯერდება პოზიციები. ფრაქცია "ქართული - ოცნება კონსერვატორებმა" ჩაატარა 12 სხდომა, საკითხთა რაოდენობამ შეადგინა 17. უმრავლესობის ფორმატში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთან" ერთად 2017 წლის დეკემბრიდან - 2018 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა **33** სხდომა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობამ კი **53.**

ფრაქციის სხდომაზე განვიხილეთ დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი საკითხები :

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის მიმოხილვა;

ქ. თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის სამომავლო გეგმა;

დასაქმების ფორუმის მიმდინარეობა და სამომავლოდ გასამართი ღონისძიებები;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულების დაგეგმვისა და მათი შესრულების გზების განხილვა;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის შესახებ;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემური მშენებლობები; დაგეგმილი პროექტების სწორი პოზიციონირება;

შშმ პირებისათვის მაჟორიტარების მხრიდან ხელშემწყობი პროექტების განხორციელება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის განხილვა“.

„ქ. თბილსის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების სოციალური ბიუჯეტის გადანაწილების პრინციპების შესახებ“

კომისიური მუშაობა :

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 30 კომისიის სხდომა, რომელშიც აქტიურად ვიყავი ჩართული, განვიხილეთ დღის წესრიგით გათვალისწინებული 155 საკითხი, ჩატარებული სხდომებიდან დავესწარი 27 სხდომას.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-105 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 127 ცვლილება (დღის წესრიგით გათვალისწინებული 16 პროექტი) , აქედან დადებითი რეკომენდაცია მიეცა 125 ზონალურ ცვლილებას, 3 ფუნქციური ზონალური ცვლილება გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით და ტერიტორიულ - სივრცითი დაგეგმარების თვალსაზრისით 9 ზონალურ ცვლილებას მიეცა უარყოფითი შეფასება.

კომისიის სხდომებზე განვიხილეთ და შევისწავლეთ საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარსადგენი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების , განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 46 პროექტი.

კომისიის ეგიდით ჩატარდა გასვლითი სამუშაო შეხვედრები - კომპანია ,,ყაზტრანსგაზთან", შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან", თბილისის განვითარების ფონდსა და თბილსერვის ჯგუფთან.

ქონების მართვისა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისია.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 30 სხდომას შევისწავლე 173 საკითხი.

წინასაარჩევნო დაპირება, რომელიც ამომრჩევლებს მივეცით, ეხებოდა სიმბოლურ ფასად მათთვის იმ ბინების დაკანონებას რომლებსაც მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ.

დაახლოებით 297 ადამიანს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება.

მაგ. სამგორის რაიონში 52 ოჯახს სიმბოლურ ფასად გადაეცა 3208,33 კვმ უძრავი ქონება.

ისნის რაიონში, სამგორის ქ.#16-ში, 18 ოჯახს გადაეცა 972,87 კვმ ფართი. ვაკის რაიონში, წყნეთში, 136 ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი. ფართები დაუკანონდათ აგრეთვე მოქალაქეებს, ჩუღურეთის რაიონში ცაიშისა და აჭარის ქუჩებზე., ასევე გლდანისა და კრწანისის რაიონებში.

პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად გადეცათ ამხანაგობებს გლდანის რაიონში 26 კვმ,18 კვმ და 62 კვმ მიწის ნაკვეთები ამხანაგობებს წყლამომარაგების სისტემის მოსაწესრიგებლად და სატუმბი სადგურების

განსათავსებლად. მოსახლეობა აღნიშნულ ტერიტორიაზე წლების მანძილზე სასმელი წყლის გარეშე ცხოვრობდა. წყალმომარაგების ქსელის მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსებას უზრუნველყოფს გლდანის რაიონის გამგეობა.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

12926 კვმ მიწის ნაკვეთი გადაეცა 63 ოჯახს საბურთალოს რაიონში; მარიჯანის ქუჩაზე და დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე,

ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის #133ა-ში, დაკმაყოფილდა 7 ოჯახი

მთაწმინდის რაიონში - ვუკოლ ბერიძის ქ.№2-ში, მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირველ სართულზე შეჭრილ 6 ოჯახს, რომლებიც დაახლოებით 2 წელია ფლობენ ფართებს და ამავე დროს არიან კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირები. აღნიშნულ ბინაში მათ გადაეცათ გარკვეული ფართები (საერთო ჯამში 564,34 კვმ) სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, სახელმწიფო საშინაო ვალზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

სულ დასაკმაყოფილებელია 3250 კოოპერატივის წევრი, აქედან აქტიურია 1705. დღეის მდგომარეობით დაკმყოფილებულია 300 მდე წევრი. გამოინახა დაახლოებით 16 ათასი ჰექტარი, ძირითადად დიდ დიღომში, ნუცუბიძესა და ფონიჭალაში.

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ეკონომიკური ნაწილი.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა , ეს არ არის პირდაპირი გაგებით ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტი, ის არის ურბანული ხასიათის დოკუმენტი, რომელიც, როგორც წესი, მუშავდება ეკონომიკური რეალობების გათვალისწინებით. იმ შემთხევაში, როდესაც არ არსებობს ეს სტრატეგია, მუშავდება ერთიანი მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ რეალობებს და საფუძვლად ედება მიწათსარგებლობის გენ. გეგმას.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია.

2017 წლიდან გახლავართ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი საბურთალოს მე-5 ოლქში.

მოგახსენებთ, რომ საბურთალოს რაიონის მე-5 ოლქში 43,412 ამომრჩეველია.

ოლქში მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის, სოციალურ-ეკონომიკური, სატრანსპორტო და დასაქმების საკითხები.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობის მისამართია: ალ. ყაზბეგის N 14ა, წარმომადგენლობა მუშაობს ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 09:00-18:00-მდე, ბიუროს თანამშრომლები ყოველდღიურად ხვდებიან მოქალაქეებს, იღებენ განცხადებებს და საჭიროების შემთხვევაში გასცემენ რეკომენდაციებს.

ბიუროში მოქალაქეებთან შეხვედრის დღეა ყოველი კვირის ოთხშაბათი. თუმცა მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე შეხვედრები ხორციელდება კვირის სხვა დღეებშიც. გარდა ბიუროში შეხვედრებისა აქტიურად გავდივარ უბნებზე, ვხვდები მაცხოვრებლებს და პირადად, ადგილზე ვეცნობი იქ არსებულ მდგომარეობას.

ამ დრომდე, ჩემს წარმომადგენლობაში შევხვდი **1500-მდე** მოქალაქეს, ხოლო საბურთალოს უბნებზე გასვლის დროს შევხვდი დაახლოებით **3000-**მდე მოქალაქეს. დაახლოებით **400-მდე** მოქალაქეს გავუწიე სატელეფონო კონსულტაცია, უამრავ მოქალაქეს გავუწიე სიტყვიერი შუამდგომლობა.

ჩემს სახელზე ოფიციალურად შემოსულია 43 მოქალაქის განცხადება, გაკეთებული მაქვს ამდენივე შუამდგომლობა.

სხვადასხვა საქალაქო სამსახურებში გაგზავნილი მაქვს 54 წერილი/პასუხი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმომადგენლობაში ოთხშაბათ დღეს ოფიციალურად გავმართე 22 შეხვედრა, ხოლო კვირის სხვა დღეებში, მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე 50-მდე შეხვედრა.

მოქალაქეთა მომართვიანობა ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- ✓ კეთილმოწყობა/ინფრასტრუქტურა;
- ✓ დასაქმება;
- ✓ უკანონო მშენებლობა;
- ✓ ავარიული კორპუსებისა და საცხოვრებელი სახლის გამაგრება;
- ✓ მედიკამენტების დაფინანსება;
- ✓ კომუნალურების გადანაწილება ;
- ✓ სამართალწარმოება;

➢ **ინფრასტრუქტურული პროექტები**

საბურთალოს მე-5 ოლქში უშუალოდ ჩემი თანამონაწილეობით და შუამდგომლობის საფუძველზე, საბურთალოს რაიონის გამგეობამ განახორციელა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები.

✓ უშუალოდ ჩემი შუამდგომლობით, საბურთალოს რაიონში, კერძოდ ვეძისში (**ვეძისის ქ N57/3, დავითაშვილის ქუჩა, ბუდაპეშტის I შესახვევი**) მოეწყო საყრდენი კედლები;

✓ ნუცუბიძის, საირმის, ცაგარელისა და ასათიანის N12-ში მოეწყო რკინის მოაჯირები;

✓ ჩემი უშუალო შუამდგომლობით ათობით ეზოსა და ქუჩაზე (**მათ შორის ზაქარიაძე, ისაკაძე, ვაჟა-ფშაველა, დავითაშვილის ქუჩა, საირმე, ყაზბეგის გამზირი, გახოკიძე**) დაიგო ასფალტის ახალი საფარი, მოწესრიგდა ფეხით სავალი ბილიკები და გამწვანების ზოლები;

✓ GWP-სთან ჩემი უშუალო თანამშრომლობით 18 ქუჩაზე მთლიანად შეიცვალა წყლის და საკანალიზაციო სისტემა, მათ შორის **ზემო ვეძისში და დავითაშვილის ქუჩაზე**, სადაც არასოდეს ყოფილა წყალანირების ქსელი და საკანალიზაციო სისტემა. მომავალ წელს საკანალიზაციო სისტემა მოწესრიგდება ქვემო ვეძისშიც;

✓ ვაჟა-ფშაველას I შესახვევში, N3 კორპუსის მიმდებარედ ეზოში, 2400 კვ.მ ფართობზე დაიგო ასფალტის საფარის ორი ფენა. აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყო 130 გრძივი მეტრის სანიაღვრე ქსელი;

✓ ვაჟა-ფშაველას გამზირის №17-ში მოწესრიგდა სანიაღვრე ქსელი, აღნიშნულ მისამართზე მოეწყო ბორდიურები და დაიგო ასფალტის ახალი საფარი;

✓ ჭილაძის ქუჩაზე მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, მოეწყო საფეხმავლო ბილიკი და ბორდიურები, ჩემი უშუალო შუამდგომლობით დამონტაჟდა ე.წ „ბოძკიტები“, რომელიც საფეხმავლო ბილიკს იცავს მანქანების პარკინგისგან და ფეხით მოსიარულეებს აღარ ექმნებათ გადაადგილების პრობლემა;

✓ საბურთალოს რაიონის მე-5 ოლქში მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე 20 ლოკაციაზე, ტროტუარებსა და ბორდიურებზე პარკირებისგან გამოწვეული დაზიანების თავიდან ასაცილებლად დამონტაჟდა მოძრაობის შემზღუდავი ბარიერები. სპეციალური „ბოძკიტები“ ბორდიურების გასვწრივ დამაგრდა;

✓ საირმის ქუჩა N2-ში გარემონტდა სადარბაზოები, ასევე 1000 კვადრატულ მეტრზე დაიგო ასფალტ-ბეტონის ახალი საფარი, პროექტის ფარგლებში, ასევე მოეწყო ბორდიურები;

✓ გახოკიძის ქუჩაზე 1100 კვ.მ-ზე დაიგო ასფალტის საფარი. სამუშაოების ფარგლებში, ამ ქუჩაზე კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ წყლისა და წყალარინების ქსელი მთლიანად შეცვალა;

✓ ნუცუბიძის N36,38,40,42/2 მოასფალტდა 2000 კვ.მ ფართობის ეზო, მოეწყო ბორდიურები;

✓ ჩემი უშუალო ჩართულობით წყლისა და წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია განხორციელდა 16 მისამართზე;

✓ უკვე რეაბილიტირდა და მოეწყო **თერთმეტი** სკვერი **(გამრეკელის ქ. N2, ვაჟა-ფშაველას 20, ვაჟა-ფშაველას 10, მიცკევიჩის 15, ყაზბეგის 29ა, ყაზბეგის 9ა, ყაზბეგის 19, ყაზბეგის 8, საირმის ქ.N7, საირმის N2, ნუცუბიძის ქ. N14)** აღსანიშნავია ყაზბეგის გამზირის N29ა კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1 600 კვადრატული მეტრის ფართობზე ახლად მოწყობილი სკვერი და ვეძისში, ბერიტაშვილის ქუჩაზე დაახლოებით 2000 კვ.მ ფართობის მოსასვენებელი სივრცის მოწყობა. პროექტის ფარგლებში, აღნიშნულ სკვერებში დამონტაჟდა სრულიად ახალი საბავშვო სასრიალოები, დაიდგა ახალი სკამები და სანაგვე ურნები, მოეწყო განათების სისტემა, მოწესრიგდა საფეხმავლო ბილიკები, დაირგო ხეები და დეკორატიული ბუჩქები, ასევე ყაზბეგის N29ა სკვერში გაკეთდა მინი აუზ-შადრევანი;

✓ გამწვანების მიზნით საბურთალოს სხვადასხვა მისამართზე დავრგეთ ასეულობით ხე-მცენარე, მათ შორის ყაზბეგის № 25-ის მიმდებარე ტერიტორიაზე დავრგეთ 20 კიპაროსის ხე;

✓ ჩემი შუამდგომლობით და მოსახლეობის სიტყვიერი თხოვნის საფუძველზე რამდენიმე ქუჩაზე გადაიბელა ხეები და მოწესრიგდა მწვანე ზოლის;

✓ საირმის ქუჩა N7-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოსახლეობის მომართვის საფუძველზე და ჩემი შუამდგომლობით, ავტოფარეხების ნაცვლად, საბავშვო მოედანი მოეწყო. სამუშაოების ფარგლებში, დამონტაჟდა ატრაქციონები და განთავსდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

✓ სრულად განახლდა **ხუთი** სპორტული მოედანი (**ვაჟა-ფშაველას 41, ვაჟა-ფშაველას N39, ყაზბეგის 29ა, ყაზბეგის 41, ყაზბეგის გამზ. 11-13 კორპუსების მიმდებარედ, ჭილაძის 166**), აღნიშნულ სპორტულ მოედნებზე მთლიანად გამოიცვალა ხელოვნური მწვანე საფარი, დამცავი ღობეები, კალათბურთის ფარები და ფეხბურთის ბადეები;

✓ უშუალოდ ჩემი შუამდგომლობით და მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე ფიტნეს ტრენაჟორი დამონტაჟდა **ათ** მისამართზე **(ვაჟა-ფშაველას N7, ვაჟა- ფშაველას N10, ვაჟა-ფშაველას N20, ყაზბეგის 29ა, ყაზბეგის 41, კანდელაკის 8ა, გაზაფხულის ქ. N23, მიცკევიჩის 25, ლისის ტბა, შევარდენიძის ქ.N7);**

✓ მოსასვენებელი ფანჩატური დავდგით **ათ** მისამართზე (**ვაჟა-ფშაველას გამზ. N10**, **ვაჟა-ფშაველას 1 შეს. N3, თავაძის ქ, ნუცუბიძის ქ.N2, ბერიტაშვილის ქ, ყაზბეგის 17, ყაზბეგის N20ა, კანდელაკის 8, ცინცაძის 41, შევარდენიძის ქ.N11**);

✓ საირმეზე გაკეთდა საცხოვრებელ კორპუსამდე მისასვლელი კიბის უჯრედი, რამაც მოსახლეობას საცხოვრებელ კორპუსთან მისვლა საგრძნობლად გაუადვილა;

✓ ბუდაპეშტის პირველ შესახვევში დამონტაჟდა „ჩიხის“ მაჩვენებელი საგზაო ნიშანი. ამ ადგილზე წლების განმავლობაში არ იყო მსგავსი ნიშანი, რაც აღნიშნულ ქუჩაზე ქმნიდა საცობს და საავარიო სიტუაციებს, მოსახლეობის მომართვის საფუძველზე და ჩემი ჩართულობით აღნიშნულ მისამართზე დამონტაჟდა „ჩიხის“ მაჩვენებელი;

✓ მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, ჩემი შუამდგომლობით, შევარდენიძის ქუჩა ცინცაძის მხრიდან გაცალმხრივდა და დამონტაჟდა ცინცაძის ქუჩიდან შესვლის ამკრძალავი ნიშანი, შევარდენიძის ქუჩიდან იპოდრომის მიმართულებით დაიხაზა გადასასვლელი ზებრა;

✓ ლიფტები შეკეთდა და განახლდა გაზაფხულის ქუჩა N13, ხვიჩიას ქუჩა N12, საირმის ქუჩა N2 კორპუსში, ცინცაძის ქუჩა N7, ბუდაპეშტის ქუჩა N6-ში, ვაჟა-ფშაველას გამზირის №32 კორპუსში და ტაშკენტის ქუჩებზე;

✓ საბურთალოს რაიონში, სახურავები სულ 30 მისამართზე შეკეთდა. კორპუსების სართულშუა ნაპრალების სპეციალური მასალით ამოვსების

სამუშაოები ექვს მისამართზე შესრულდა, მათ შორისაა, გოთუას ქუჩა N22, ცინცაძის N79-81;

- ✓ ტაშკენტის ქუჩა N31-ში შეკეთდა ბრტყელი სახურავი;
- ✓ ამჟამად მიმდინარეობს გოძიაშვილის, ე.წ „წითელი ბაღის“ რეაბილიტაცია, რაც ჩემს წინასაარჩევნო დაპირებას წარმოადგენდა;
- ✓ თითქმის დასრულებულია ცინცაძე-კარტოზიას ესტაკადის მშენებლობა, რაც ასევე ჩემი წინასაარჩევნო დაპირება იყო.

- ➢ **ღონისძიებები და აქტივობები**

საანგარიშო პერიოდში, ჩემი მონაწილეობით ჩატარდა რამდენიმე აქტივობა, რომელიც ეძღვნებოდა ქალთა საერთაშორისო დღეს, დედამიწის, გარემოს, აუტიზმის ცნობადობის ამაღლებისა და ბავშვთა დაცვის დღეს.

- ✓ **28 თებერვალს, დავესწარი** თბილისის პირველ ექსპერიმენტულ საჯარო სკოლაში გამართულ ღონისძიებას. ღონისძიება „საუბრები საქართველოს ოკუპაციაზე“ ეძღვნებოდა 1921 წლის 25 თებერვლის ოკუპაციას. მოსწავლეებმა ღონისძიება საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით მოამზადეს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლების სამინისტროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა. ვისაუბრეთ 1921 წელზე და მიმოვიხილეთ ისტორიული ფაქტები.
- ✓ პირველი ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს ვუმასპინძლე საკრებულოში, დავათვალიერებინე საკრებულოს ისტორიული შენობა და ოთახები, გავაცანი თბილისის საკრებულოს შენობის ისტორია. ასევე ვესაუბრე საკრებულოს საქმიანობის სპეციფიკაზე, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება, როგორ მუშაობს და ფუნქციონირებს თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.
- ✓ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პირადად ვეწვიე მარტოხელა, სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ქალბატონებს, რომელთაც ყვავილებით და ტკბილეულით ქალთა საერთაშორისო დღე მივულოცე.

✓ დედამიწის დღეს, ჩემს წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მივიღე სოციალურ აქციაში, რის ფარგლებშიც, სსიპ 203-ე საჯარო სკოლის ეზოში, სკოლის მოსწავლეებისთვის გავაშენეთ ხეხილის ბაღი.

✓ 4 ივნისს ჩემი ინიციატივითა და ხელშეწყობით საკრებულოში გამართული ღონისძიება ეძღვნებოდა ბავშვთა დაცვის საერთშორისო დღეს, რომლის ფარგლებშიც მოხდა 203-ე საჯარო სკოლის, მოსწავლეების ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა. "ქ. თბილისის 203 საჯარო სკოლა" არის სპეციალიზებული დაწესებულება, სადაც სმენის პრობლემის მქონე მოსწავლეები სწავლობენ. ღონისძიების ფარგლებში მოსწავლეებმა წარმოადგიენს სპექტაკლი „კომბლე“ და სხვადასხვა მუსიკალური ნომრები.

✓ სტუმრად ვიყავი მიწვეული სკოლა-გიმნაზია "პირველში", სადაც მეთორმეტე კლასელებს მივულოცე სკოლის დამთავრება და დავესწარი „ბოლო ზარის“ ღონისძიებას.

✓ დავესწარი GWP-ის ღონისძიებებს, რომელიც ეხებოდა გარემოს დაცვას -„დაზოგე წყალი, გაუფრთხილდი გარემოს“.

✓ ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზების მიზნით საბურთალოზე გაიმართა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. აქტიურად ვიყავი ჩართული „საბურთალოს თასის“ გათამაშების საფეხბურთო ტურნირში.

✓ ბიუროს წარმომადგენლებთან ერთად დავესწარი თბილისის ბაგა-ბაღების 2017-2018 წლის ანგარიშის მოსმენას.

✓ 1აგვისტოს ვიმყოფებოდი ზემო ვეძისში, ბერიტაშვილის ქუჩაზე, სადაც აქ არსებულ მწვანე სივრცის მოწყობის სამუშაოებს გავეცანი. შევხვდი ადგილობრივ მაცხოვრებლებს და მათთან ერთად შევარჩიეთ ის ადგილები, სადაც ტრენაჟორები და ბავშვებისთვის საქანელები უნდა დამონტაჟებულიყო.

✓ ბერიტაშვილის ქუჩაზე, განახლებულ დასასვენებელ სივრცეში ჩემი და გამგეობის ინიციატივით ადგილობრივებისთვის ქართული ფილმის „არაჩვეულებრივი გამოფენა“ კინოჩვენება გაიმართა.

✓ ბიუროში გავმართე **ახალგაზრდებთან შეხვედრა**, რის ფარგლებშიც ახალგაზრდებთან ერთად გავიარე მუნიციპალური საკითხები, გავაცანი მაჟორიტარის და წარმომადგენლობის ფუნქცია-მოვალეობები, ასევე

ვისაუბრე საბურთალოს მე-5 ოლქში ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის მიმართულებით დაგეგმილ პროექტებზე.

✓11 ივნისს ჩემი ჩართულობით და სოციალური მომსახურების სააგენტოს დახმარებით მოეწყო დასაქმების ფორუმი, სადაც 23 კომპანია მონაწილეობდა, რომლებსაც 2000-ზე მეტი ვაკანსია ჰქონდათ წარმოდგენილი.

დასაქმების ფორუმზე მოსულ ადამიანებს შეეძლოთ, ასევე c ჰეპატიტზე უფასო გამოკვლევის ჩატარება.

✓22 ოქტომბერს მონაწილეობა მივიღე ხის დარგვის დღესთან დაკავშირებულ აქციაში, რომელიც გოძაშვილის ე.წ „წითელ ბაღში“ გაიმართა. აქციის ფარგლებში ბაღში დაირგო 150 ძირი, სამი სახეობის დიდტანოვანი ხე (80 არიზონას კვიპაროსი, 35 ჭადარფოთოლა ნეკერჩხალი, 35 ევროპული მუხა). პარკში წლის ბოლომდე დაირგვება 15 სახეობის 462 ნერგი და 6 სახეობის 2300 ძირი ბუჩქი.

✓3 ნოემბერს მონაწილეობა მივიღე საბურთალოზე, ზაქარიაძის და ასათიანის ქუჩებზე გამართულ ეზოების გამწვანების აქციაში. აქციის ფარგლებში გავამწვანეთ, გავანათეთ და მოვაწესრიგეთ 5 ეზო საბურთლოზე (N10,3,5,7,9).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციასა და კომისიაში საქმიანობა.

მივლინება:

25-27 აპრილს პოლონეთში, ქ.კრაკოვში, „აღმოსავლეთ კვლევათა ინსტიტუტის“ ორგანიზებით ჩატარდა „საერთაშორისო, ადგილობრივი თვითმმართველობების ევროპის მე-4 კონგრესი“ , რომელზეც ვიყავი მიწვეული .

შეხვედრა შედგა საერთაშორისო კომპანიის „sound diplomacy” წარმომადგენლებთან. კომპანია მუშაობს ღამის ეკონომიკის განვითარების საკითხებზე. განხორციელდა შეხვედრები და გაიცვალა მოსაზრებები მინსკის, პოლონეთისა და უკრაინის სხვადასხვა ქალაქების დელეგაციებთან.

17-20 ივნისის ჩათვლით ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდით სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესზე, რომელზეც მიწვეული იყო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, როგორც კონგრესის მიმდინარე საქმეთა კომიტეტის სრულუფლებიანი წევრი, ასევე მე, დავით უთმელიძე როგორც კონგრესის მიმდინარე საქმეთა კომიტეტის მრჩეველი.

სხდომაზე კომიტეტის წევრებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა მომავალი თაობის სოციალური უფლებების დაცვაში ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების როლი, მიგრაცია, იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა.

4-7 სექტემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან ფორუმის ორგანიზატორების მიერ მიწვეული ვიყავი აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე დიდ ეკონომიკური ფორუმზე, პოლონეთში (ქ. კრინიცა).

ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში მონაწილეობა მივიღე პანელურ დისკუსიებში და შედგა შეხვედრები სხვადასხვა ქალაქების მმართველ პოლიტიკოსებთან. შეხვედრებზე განხილული იყო ქალაქების მართვის პრაქტიკა და გამოწვევები, ტრანსპორტის და ეკოლოგიის საკითხები. ასევე შეხვედრა გაიმართა პოლონეთის, ლიტვისა და უკრაინის დელეგაციებთან.

აქტივობები , ტრენინგები, სემინარები :

თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ინიციატივით შევხვდით ,, ჯეორჯიან უოთერ ენდ ფაუერის„ წარმომადგენლებს და კოპანიის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების მუშაობას გავეცანით.

ვიმყოფებოდით ღრმაღელის სადგურში , სადაც საფილტრე ნაგებობა და ქიმიურ ბიოლოგიური საგამოცდო ლაბორატორია, წყალსადენი და ბოდორნაჰესი, საგურამოჰესი, ჟინვალის წყალსაცავი და ნატახტრის წყალსადენი დავათვალიერეთ.

აგრეთვე შეხვედრა გაიმართა კომპანია „ყასტრანსგაზ-თბილისთან“, შეხვედრაზე თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებს გაგვაცნეს კომპანიის მუშაობის სპეციფიკა, მიმდინარე და სამომავლო პროექტები, რის შემდეგაც საკრებულოს წევრებმა სწრაფი რეაგირების სამსახურის ცენტრალური მართვის ოთახი დავათვალიერეთ.

NDI-საორიენტაციო ტრენინგი თბილისის საკრებულოს ახლადარჩეული წევრებისთვის 7-8 თებერვალი 2018 წელი. თემა: თვითმართველობის არსი და დეცენტრალიზაცია, საკრებულოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ფრაქციის როლი საკრებულოს საქმიანობაში, მუნიციპალური ბიუჯეტირება.

NDI- ,, ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტირება „22-23 ივნისი 2018 წელი .

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სამუშაოების შემსრულებელი ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წარმომადგენლების გასვლითი სამუშაო შეხვედრა გუდაურში, 2018 წლის 13- 14 - 15 ივლისი.

როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვმონაწილეობდი 2018 წლის 26 ივნისიდან 1 აგვისტომდე სამუშაო შეხვედრებში მდ.ვერეს დახურული კალაპოტის პრობლემატიკის შესახებ. კერძოდ, 2015 წლის 13-14 ივნისს სტიქიური მოვლენების შემდეგ (რამაც გამოიწვია ადამიანების მსხვერპლი და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი), მდ. ვერეს დახურული კალაპოტის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხის, ასევე რისკის შემცველი ფაქტორებისა და სამომავლოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების მათ შორის სამოქმედო გეგმის შემუშავების) თაობაზე.

სამუშაო ჯგუფში ასევე ჩართულები იყვნენ შესაბამისი მუნიციპალური და სახელმწიფო სამსახურების, დარგის ექსპერტ- სპეციალისტები .

ქალაქ თბილისის მთავრობასთან და საბურთალოს რაიონის გამგეობასთან ერთად დაიგეგმა 2019 წელს საბურთალოს მე-5 ოლქში

მოსახლეობის მოთხოვნისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით განსახორციელებელი საუშაოები, რაც ასახული იქნება 2019 წლის პროგრამულ ბიუჯეტში.